პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

[illegible]

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

22 ნოემბერი
სამშაბათი

1917. სახალხო კომისართა საბჭო შეუდგა საიდუმლო ხელშეკრულებათა გამოქვეყნებას.

1799. საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დასასრული (17 ბრიუმერს რევოლიუციონური კალენდარით) ყოფილი სინკლიტი გამოაცხადეს იმპერატორად.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრონშტეინის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის და [illegible]
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალური ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

დღიური

რომიდან გაძევებული ფაშისტები ფლორენციაში განაგრძობენ მუშათა ორგანიზაციების რბევას და კომუნისტების ხოცვას.

საფრანგეთის დელეგატებმა განაცხადეს ვაშინგტონის კონფერენციაზე, რომ ისინი კიდევ აძლიერებენ ფლოტს და ჯარს. ინგლისსა და საფრანგეთს შორის ამის გამო მდგომარეობა კიდევ უფრო მწვავდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 217 სამშაბათი, 22 ნოემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 22 ნოემბერი, 1921 წ. № 217

რეზოლუცია

თბილისის კომიტეტის პლენუმის და პასუხისმგებელ მუშაკთა გაერთიანებული სხდომის.

თბილისის კომიტეტის პლენუმის გაერთიანებულმა სხდომამ თბილისის ორგანიზაციის პასუხისმგებელ მუშაკებთან ერთად, მოისმინა რა მოხსენება ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციულ გაერთიანების შესახებ, სავსებით უერთდება ამ სრულიად მომწიფებულ საკითხის გამო რ. კ. პ. ც. კ. კავბიუროს დადგენილებას, დადასტურებულს ს. ს. კ. პ. ც. კ. მიერ, სცნობს რა ამ გადაწყვეტილებას საქართველოს საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის პირობებში, პოლიტიკურად სრულიად სწორედ და დროულად, ხოლო ეკონომიურად მიზანშეწონილად და აუცილებლად, კრება ავალებს თბილისის კომიტეტს ც. კ. ხელმძღვანელობით დაუყოვნებლივ გაატაროს კამპანია პარტიულ და უპარტიო მასსებში ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო გაერთიანების შესახებ.

საგარეო ვაჭრობის საკითხი და ფედერაცია

უმთავრესი გარემოება, რომელიც გარკვეულ ბეჭედს ასვამს საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო და საშინაო მდგომარეობას, როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ სფეროში, არის ფაქტი კაპიტალისტური ქვეყნების მიერ ჩვენი გარშემორტყმის. როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება ამ ქვეყნებთან—ხოლო ჩვენი ურთიერთობა დღეს დღეობით ხასიათდება უამრავ მსხვერპლის გაღებით მოპოებული დროებითი „ზავით“—ჩვენი სიფრთხილე ყოველ წამს უნდა უტრიალებდეს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ ვისარგებლოთ „შესვენებით“ ისე, რომ საჭირო სიმტკიცით ვეკვეთოთ და საკადრისი პასუხი გავსცეთ ყოველგვარ „შესაძლებლობას“. მოსალოდნელი კია ასეთი შესაძლებლობა. ერთნაირი წონასწორობა, რომელიც ეს ერთი წელიწადია თითქოს დამყარდა სამკვდრო-სასიცოცხლოთ გადაკიდებულ ორ ბანაკს შორის, შეიძლება დაირღვეს დროებით მიჩუმებულ ფრონტების ერთ რომელიმე ადგილზე, რასაც შეუძლია გამოიწვიოს ცეცხლის გაჩენა მთელ ხაზზე. ამ გარემოების ანგარიში უნდა გაუწიოს ყველამ როგორც დიდმა საბჭოთა ფედერაციამ, ისე მის განაპირა მდებარე ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებმა. გადაუდებელი დარაზმვა ამ უკანასკნელთა სამხედრო ძალების, მათი ორგანიზაციის საქმის კონცენტრაცია გაერთიანებულ ორგანოს ხელში, უნდა შეიქნეს ხსენებულ რესპუბლიკების მომავალი ფედერაციის ერთ უმთავრეს ფუნქციათ. მაგრამ ეს არის ერთი მხარე ფედერაციის საკითხის, რომლის შესახებ ჩვენ გაზეთში უკვე იყო ლაპარაკი. მეორე, და არა უკანასკნელი, მხარე შეეხება გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის პრობლემას.

მიუხედავად სამხედრო ფრონტის ლიკვიდაციისა, საბჭოთა ქვეყნები საზოგადოთ და ამიერ-კავკასიის კერძოთ, შეიძლება ითქვას, იმყოფებიან ფაქტიურათ ეკონომიური ომის მდგომარეობაზე მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან. და ეს მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნების ეკონომიური და კერძოთ სასურსათო კრიზისის გამო, რეგულიარული სავაჭრო კავშირი უცხოეთთან იძენს მთელი ჩვენი აწმყო და ახლო მომავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ხასიათს. ცხადია ყველასათვის, რომ ჩვენი საკუთარი ადგილობრივი რესურსებით და იმითი, რისიც მიღება ნავარაუდევია რუსეთიდან, ჩვენ ვერ დავაკმაყოფილებთ ჩვენი მოთხოვნილების აუცილებელ მინიმუმის ნაწილსაც კი, მარტო სურსათის საკითხი რომ მივიღოთ მხედველობაში. ხოლო ჩვენი ეკონომიური აღორძინებისათვის საჭირო საწარმოო საშუალებათა მისაპოვებლათ ჩვენ ერთიანათ მოხარკე ვართ უცხოეთის: სრულიად მისგან დამოკიდებული. აქედან ცხადია ჩვენ პირობებში მასთან სავაჭრო დამოკიდებულების განსაკუთრებული მნიშვნელობა. ხოლო ჩვენი ქაღალდის ფული მას არ აინტერესებს, რამდენადაც ჩვენ საზოგადოთ მოვახერხებთ მასთან ვაჭრობის წარმოებას, ის თხოულობს სავალიუტო ექვივალენტს თავისი საქონლის ნაცვლათ. აქედან მობილიზაცია ჩვენი სავალიუტო საგნების—აი ის დიდი კითხვა, რომელიც უნდა რეალურათ გადაწყდეს მეორე უფრო კიდევ მნიშვნელოვან კითხვასთან ერთად, რომელსაც წარმოადგენს რესპუბლიკების შეთანხმებულათ გამოსვლა საგარეო ბაზარზე და იქ ჩვენ ღირებულებათა მოხერხებული გასაღება რათა მსოფლიო ბაზრის ასურგთა ლუკმათ მთლად არ შევიქნეთ. ეს ორნაირი აზრი—არსებული რესურსების მობილიზაცია შეკავშირებულათ—იდო საფუძვლათ წარსულ ივნისში მიღებულ გადაწყვეტილებას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობათა გაერთიანებულ ორგანოს ხელში გადასვლის შესახებ: მიზანშეწონილობა ასეთი გადაწყვეტილების არავისში ეჭვს არ იწვევდა, ის [illegible], მისი აუცილებლობა, საჭიროება მისი განხორციელების, უდავო იყო და უდავო არის დღესაც ყველასათვის, ვისაც ცოტათ თუ ბევრათ ჩახედულია როგორც ჩვენ შინაურ მდგომარეობაში, ისე საერთაშორისო ბაზრის პირობებში, რომლისთვისაც აუცილებელი [illegible]. მიუხედავათ იმ ცხადობისა, რომელიც აქვს ყველა ჩვენი რესპუბლიკების სასიცოცხლო ინტერესებისათვის ამ საქმეს, ეს უკანასკნელი ფერხდებოდა და ფერხდება დღესაც, ვერ იძლევა იმ შედეგებს, რომლებსაც დაინტერესებული მხარეები სრულიათ საფუძვლიანათ მოელოდენ მისგან. ამაზე არა ერთხელ ყოფილა დაწერილი და თქმული. საკმაოა გავიხსენოთ მარტო მოხსენებები, რომლებიც გააკეთა გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის ორგანოს ხელმძღვანელმა კავკასიის რესპუბლიკების სასურსათო ყრილობაზე და ბაქოს მუშათა კონფერენციაზე ოქტომბრის პირველ რიცხვებში. მუშაობის უმთავრეს ხელშემშლელ მიზეზია რესპუბლიკების ის ერთნაირი პარტიკულიარიზმი (განთვითოება), რომელიც კვლავ დასაძლევია, რომ მთელი დაწყებული საქმე ჩვენი მდგომარეობის საჭირო სისწრაფით წინ გაექანოს. ფაქტიური და არა მხოლოთ სიტყვიერათ გაერთიანება საგარეო ვაჭრობის ერთ-ორგანოში, რომელიც დაიკავებს ფედერაციის სისტემაში გარკვეულ და ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს—აი ის საკითხი, რომელიც უნდა გადიჭრას დაბოლოს, რომ ხორცი შეისხას არა ერთხელ მიღებულმა გადაწყვეტილებამ ამის შესახებ. რასაკვირველია, ჩვენი მუშაობის ხელშემშლელი სპეციფიკური პარტიკულიარიზმი, რომელსაც ფესვები გადგმული აქვს ახლო წარსულში, რესპუბლიკათა ამდენ ხანს იზოლებითი განკალკევებაში და იქ ნაციონალისტური პარტიების თარეშით შექმნილ ატმოსფერაში, ერთი დაკვრით არ მოისპობა, ის თანდათანობით უნდა განიდევნოს ჩვენი რესპუბლიკების სინამდვილიდან, მაგრამ მათი ფედერატიული კავშირი და ნამდვილი გაერთიანების გატარება საგრძნობლათ შეასუსტებს ახლავე და ბოლოს მოუღებს შემდეგისათვის ყველა დამაბრკოლებელ მიზეზებს ამ დიდი საქმის შეფერხებისას.

ობიექტიური პირობები ჩვენი საგარეო და საშინაო მდგომარეობის ამ სფეროშიაც ბრძანების კილოთი მოითხოვს ჩვენგან ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერატიულ კავშირის გატარებას სულ ახლო მომავალში, რომ ძლევამოსილებით გავუსწორდეთ ჩვენ კარზე მომდგარ სიძნელეთ.

საბჭოთა რუსეთის პრესა

პარტია მიმდინარე მომენტში.

პარტიის გაწმენდა სრულდება. ჯერ კიდევ ძნელია საბოლოო შედეგების გამორკვევა და ნამუშევარის ჯამის გაკეთება. მაგრამ უკვე ეხლავე უნდა შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება პარტიის შინაური ცხოვრების ზოგიერთ უმთავრეს ამოცანებზე, რომლებიც დგება ამ ჟამად ჩვენ წინაშე.

რა საბოლოო მიზანი ჰქონდა დასახული პარტიის გაწმენდას?

მიზანი პარტიის მკვიდროთ შეკავშირებაა, როგორც მუშათა კლასის პარტიისა. ამ მიზანს ემორჩილებოდა ყველაფერი რადგანაც მმართველ პარტიისათვის, რომელსაც სურს დაამყაროს ცხოვრებაში საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა ახალი წესრიგი, მეტის მეტად საშიშია მისი შეუმჩნეველი შინაგანი გარდაქმნა. ამ შინაგან გარდაქმნის წინააღმდეგ უნდა იქნეს მიმართული ჩვენი ყოველი ღონისძიება, საზღვარ გარეთ დაბეჭდილ ერთ თავის სტატიაში მოქალაქე მარტოვმა ამას წინად განაცხადა, რომ სასტიკი სოციალური კრიზისის გადატანას დაეხმარა მარქსიზმი. ეს მარქსიზმი მიუთითებდა საფრთხეზე, მარქსიზმავე გვიჩვენა მეტის მეტად ძნელ მდგომარეობიდან გამოსავალი გზა, მაგრამ იგივე მარქსიზმი გვაფრთხილებს ჩვენ საკუთარ შინაგან საშიშროებათა შესახებ.

პარტიის ბატონობისა და მონოპოლურ მდგომარეობის დროს სრულიად ბუნებრივია მოველოდეთ, რომ არსებითად უპარტიო ჯგუფებს შეეძლიათ გამოეხვიონ ამ ერთად ერთ და უნივერსალურ პარტიის სამოსელში. შესაძლებელია ის გარდაიქცეს თავის ფორმით რაღაც ინგლისის „მუშათა პარტიის“ მსგავს პარტიათ, სადაც ერთმანეთისთვის უცხო ელემენტები სხვა და სხვა მხრიდან ეხიდებიან პარტიულ ურემს. მეორე მხრით, ასეთ სისტემის დროს სრულიად ადვილათ შეიძლება „უცხო ელემენტების“ შეუმჩნევლათ პარტიაში შეძვრომა. ეხლა უკვე მოიძებნება გამოცდილება შეძენილი ხალხი ჩვენ პრინციპიალურ მოწინააღმდეგეთა, რომლებსაც ესმით ჩვენი მდგომარეობის არსებითი მხარე. ისტორია საკითხს სვამს ეხლა „ევოლიუციონურათ“. ეხლა შეუძლებელია სოციალურ ძალების მკაცრი შეტაკებები, ჩვენ ან ევოლიუციონურათ, შემოვლით მივაღწევთ სოციალიზმს ან მთელი ჩვენი შენობა (და ამასთან ერთად აუცილებლათ პარტიის ნაწილიც), შინაგანი გარდაქმნის გზით მიადგება კაპიტალიზმს. მაგრამ არა იმ „სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმს“, რომელიც იარსებებს პროლეტარიატის დიქტატურასთან ერთად, არამედ ნამდვილ კაპიტალიზმს, რომელიც ერთგვარია ყველა თავის ნაწილებში: ეკონომიკაში და პოლიტიკაში. სწორედ ამ უკანასკნელზე ამყარებენ თავის იმედებს „Смена вех“. *) —ის წარმომადგენლები, ეს ყველაზე უფრო ჭკვიანი ნაწილები ყოფილ ბურჟუაზიულ კლასების რუსეთში და ეს ჯგუფი ათასჯერ უფრო რეალისტურია, ვიდრე ყველა ეს სავინკოვები და მილიუკოვები ერთად აღებული. საფრთხე სრულიად არ არის პატარა, საფრთხე, რომელიც არ მცირდება იმის გამო, რომ ის შეუმჩნეველია, თვალით დაუნახავია და დაფარულია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების უპატარავეს მოლეკულიარულ პროცესში.

ამ უდიდეს ისტორიულ საკითხს ბოლოს და ბოლოს გადასჭრის მხოლოდ ცდა, მხოლოდ თვითონ ცხოვრება. მაგრამ რადგანაც ჩვენი პარტია არ არის ისტორიული განვითარების უკანასკნელი ეტაპი, თავის თავად ცხადია, რომ მასზე ბევრია დამოკიდებული და მას ბევრი მოეთხოვება. აი რატომ პარტიის მთლიანობის მიზანი, მისი კომუნისტური იდეოლოგიის მთლიანობა, მის ნებისყოფის მთლიანობა, ხდება მეტად მნიშვნელოვან პირობათ იმისათვის, რომ საკითხი გადაიჭრას ბოლოს და ბოლოს სოციალიზმის სასარგებლოდ.

პარტიის გაწმენდა გააუმჯობესებს მის სოციალურ შემადგენლობას: გაწმენდა განთავისუფლებს ზედმეტ ელემენტებისაგან; ის გახდის პარტიას უფრო ერთფეროვანათ, მაგრამ ეს ერთფეროვნება რათაც არ უნდა დაჯდეს საჭიროა გაძლიერდეს და განმტკიცდეს. უამისოთ შეუძლებელი იქნება გაუძლოთ ძლიერ მეშჩანურ ტალღას. აი რატომ სდგება ჩვენთვის ერთერთ მორიგ ამოცანათ **იდეური აღზრდის საკითხი.** მთელი საპროპაგანდო—საგანმანათლებლო მუშაობის გაღრმავება წინ სდგება ჩვენი პარტიული ორგანიზაციის შინაურ ცხოვრებაში.

ჩვენ მასის თვალში ეხლა ვიქცევით ადმინისტრატიულ ფუნქციების მატარებლად, კომუნისტებს მასა უკვე უყურებს როგორც პარტიას კი არა, ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობით, არამედ როგორც თანამდებობის პირთ, მუშათა კლასის რწმუნებულ „ჩინოვნიკებს“; ეს ნათლათ გამოჩნდა პარტიის გაწმენდაში უპარტიოების მონაწილეობით მუშაობის დროსაც უნდა დავინახოთ. ასეთი მდგომარეობა კარგიც არის და ცუდიც. კარგია იმით რომ ამ გზით უზრუნველ ყოფილი ხდება კლასის ძალა უფლება. ცუდია იმიტომ, რომ ადმინისტრატიული ფუნქციები იმუქრებიან ხანდისხან იდეურ მთლიანობის დარღვევით მათ უკან ჩამოყენებით, იმუქრებიან გადაფარონ ის. „არ არის დრო“ იდეოლოგიის გამოსამუშავებლათ: საჭიროა მუშაობა, მართვა, ორგანიზაციების მოწყობა, დაზიანებულის შეკეთება, შეხება.

და ეს საფრთხე ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ: მარქსიზმი ამას გვასწავლის. ჩვენ ძალების აღრიცხვის დროს, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს ძალების ნაწილი უნდა მოვახმაროთ მაქსიმალურათ იდეურ შეკავშირებას ჩვენი რიგებისას, რომლებიც გადალახავენ ყოველგვარ საშიშროებას და ყველა დაბრკოლებებს.

„პრავდა“.

---

*) ქ. პრაღაში ბურჟუაზიული ინტელიგენციის მიერ გამოცემული კრებული, რომლის ავტორები ჰგმობენ რა თავის კონტრ-რევოლიუციონურ წარსულს, მოუწოდებენ ინტელიგენციას საბჭოთა რეჟიმის ცნობისა და მასთან თანამშრომლობისაკენ.

რედ.

წითელ რესპუბლიკებში

საქართველო.

(საქართველოს რევკომის ინფორმაცია)

თიანეთის მაზრის რევკომის მოღვაწეობა.

განათლების საქმე.

თიანეთის მაზრის რევკომის მოღვაწეობა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, ვინაიდან მაზრის მდგომარეობა დიდათ განირჩევა შედარებით სხვა მაზრებთან განსაკუთრებით კი კულტურულ სფეროში, ადვილი გასაგებია, რომ რევკომსაც მიექცევია ყურადღება ამ გარემოებისათვის, რაიც გამომდინარეობს რევკომის მთელ რიგ მოღვაწეობიდან. რევკომს გადაწყვეტილი ჰქონდა მოეწყო მასწავლებელთა კურსები. კურსების მოსაწყობად განათლების სახალხო კომისარიატმა თანხმობაც გამოაცხადა, სამისოდ ლექტორები უკვე ნაშოვნი იყო, მაგრამ განათლების სახალხო კომისარიატმა დაადგინა გახსნილიყო ტფილისში ინსტრუქტორთა მოსამზადებელი კურსები, სადაც გაიგზავნა ორი კაცი თიანეთის მაზრიდან. ივნისში მოწვეული იყო მაზრის რევკომის განათლების განყოფილების გამგეობის კონფერენცია, რომელმაც გასტანა ერთი კვირა. კონფერენციამ გამოარკვია, რომ მაზრაში დაარსებული განყოფილების კოლეგია და მუშაობა სწარმოებს თანახმად ინსტრუქციებისა. თიანეთის მაზრა კი ყველა ამას მოკლებული იყო, რამაც [illegible] ყოფილ მაზრევკომის წევრებს. ინსტრუქციის მიღების შემდეგ განყოფილებამ შეუდგა მუშაობას. დაარსდა კოლეგია სამი კაცისაგან. კოლეგიამ გადასწყვიტა გახსნას ახალი სკოლები, სადაც საჭიროა და შესაძლებელია. ივნისში მაზრაში არსებობდა 13 სასწავლებელი, სკოლების შენობების გამონახვა და შეკეთება მიენდო ინჟ. ხიზანაშვილს, კოლეგიამ დაადგინა აგრეთვე გახსნას ახმეტაში უმაღლესი სასწავლებელი. წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად მაზრაში სწარმოებდა, კოლეგიის მიერ რეგისტრაცია 15 დან 50 წლამდე. განათლების განყოფილების ხელში გადაეცა ყველა კულტურული დაწესებულებანი, როგორიც არის: თეატრები, კინემატოგრაფები, სამკითხველოები, კლუბები და სხვა. განყოფილებამ გადასწყვიტა ახლო მომავალში მოაწყოს წიგნ საცავ სამკითხველოები და საფეიქრო სასწავლებელი დ. თიანეთში, რისთვისაც უკვე შეძენილია ორი სტანოკი. განზრახულია აგრეთვე მოეწყოს პრაკტიკის სასწავლებელი ქალთათვის თიანეთში, ახმეტაში, მატანში, ნაქალაქარში, სვიმონიანთ ხევში და სადგირიონში. მაზრაში საჭიროთ სცნო განყოფილებამ დაარსოს 20 ახალი სასწავლებელი.

ტეხნიკური საქმეები.

დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა მაზრის რევკომის მოღვაწეობა ვერ იყო დაყენებული თავის სიმაღლეზე, რადგან რევკომის შემადგენლობა ხშირათ იცვლებოდა, და აი ამის მიზეზით გზები და ბოგირები შეუკეთებელი დარჩა. მაზრის რევკომის ინჟინერი ხიზანაშვილი მოითხოვდა პირველ რიგში შეკეთებულიყო ახმეტა თიანეთის და თიანეთ-ერწოს გზები, თიანეთში პატარა მასშტაბით მოწყობილიყო ელექტრონის სადგური, გაფართოებულიყო მაზრაში მდინარეების ენერგიის გამოყენება განათების მიზნით, გაყვანილიყო ტელეფონის ხაზი ართანში და ფშავ-ხევსურეთის რაიონში და ამუშავებულიყო სამხერხაო, სასწრაფოდ შეკეთებულიყო გზები და ბოგირები, რომ შესაძლებელ ყოფილიყო მაზრაში ეტლების და ურმების გამოსვლა. დასასრულ ინჟ. ხიზანაშვილი მოითხოვდა წყლის გაყვანას ახმეტაში, რომლის ხარჯებსაც კისრულობდა თვით მცხოვრებნი.

სურსათის საქმე.

მაზრაში ჩარჩ სპეკულიანტების ნავარდობის გამო სასურსათო საქმე მწვავე ხასიათს ღებულობდა, ამიტომ რევკომმა დაადგინა: ვინაიდან თიანეთის მაზრის მცხოვრებნი, მაზრაში არსებულ საბჭოთა დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურენი და თიანეთში დაბანაკებულ წითელი არმიელები განიცდიან დიდ გაჭირვებას სურსათ-სანოვაგის მხრივ, თიანეთის მაზრიდან სურსათ სანოვაგის გატანა, რამდენიც არ უნდა იყოს კერძო პირთათვის აკრძალულია მაზრევკომის და სამსასურკომის ნებადაურთველად. სასურსათო კომიტეტის მდგომარეობა თიანეთის მაზრაში აგვისტომდე შემდეგ სურათს ეძლევა: 5 6 აგვისტომდე შეძენილია 318 ფუთი და 5 გირვანქა ხორბალი, 32 ფ. და 31 გ. ხორცი, 8 ძროხა, 2 ხარი, 1 კამეჩი, 24 ცხვარი. შემოსულია ნაღდ ფულად 50.143.315 მან., აქედან დახარჯულია 50.105 449 მან, 66 კაპ., ნაშთი უდრის 57.868 მან. 34 კაპ., სამსასურკომმა მართებს მაზრევკომის 15 მილიონი. შემსყიდველ აგენტებს 8.989.000 მან. პირველ ხანებში მაზრის სასურსათო კომიტეტს ძლიერ უჭირდებოდა მუშაობა, მაგრამ როგორც კი აპირებდა იგი იძენდა სურსათ-სანოვაგეს საქონელზე გადაცვლით და ამის მიხედვით რაც მას მოეპოვებოდა აკმაყოფილებდა საბჭოთა დაწესებულებების მუშა მოსამსახურეთ, ამ ჟამად სამსასურკომს აქვს ახმეტიდან ჩამოტანილი 20 ფუთი ხორბალი, არის გადასაცვლელი მარილი, ძველი ტანისამოსი და სხვა და სხვა საქონელი, მოიძებნება ცოტაოდენი კერაქიც, მარილი იყო სულ ახმეტის რაიონში 350 ფუთამდე, ნაწილი უკვე გადაცვლილია სურსათზე, 200 ფუთამდე განზრახულია ჩამოტანილ იქნას დ. თიანეთში, საიდანაც ნაწილი დაურიგდებათ მუშა მოსამსახურეთ, ნაწილი კი გადაიცვლება სურსათზე. სამსასურკომს სურსათი ამ ჟამად არა აქვს. მაზრევკომმა დაავალა სამსასურკომს დაუყოვნებლივ გაგზავნოს აგენტები შორეულ სოფლებში მთიანეთში დაგროვილ საქონლის გადასაცვლელად სურსათ-სანოვაგეზე. ნება მიეცა სამსასურკომს შეიძინოს მცხოვრებლებისაგან (შეძლებულ პირებისაგან) ხორბლეული სესხის სახით, ხოლო ცოტაოდენი საკლავი საქონელი ნისიათ, რომლისთვისაც ღირებულება უნდა იქნეს ანაზღაურებული ფულის მიღებისთანავე.

მიწის კომიტეტის მოღვაწეობა.

რაიონში ყველგან არ არის მოწყობილი მიწის კომიტეტები, ფშავ-ხევსურეთში მიწის კომიტეტის მოწყობა არ არის საჭირო, ვინაიდან იქ არის მარტოთ მარტო საძოვარი საზაფხულო საბალახო მთები, რომლის საქმიანობის მოწყობა დაევალა შესაფერ განყოფილებას. მაზრაში დაგზავნილი არიან რწმუნებულები მიწის კომიტეტებში მონაწილეობის მისაღებად, ცნობების შესაკრებად და ნორმების გამოსარკვევად. მაზრაში მუშაობს ერთი მიწის მზომელი, რომელიც ვერ ასწრებს მუშაობას. საჭიროა კიდევ 4 მიწის მზომელის მოწვევა. საერთოდ საადგილ-მამულო განყოფილება ვერ არის შესაფერად მოწყობილი, როგორც ტეხნიკურ მიზეზების გამო ისე გამოცდილ მომუშავეთა არყოლით.

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია

არეულობა გერმანიაში.

მოსკოვი, 20 ნოემ. (რადიო). ბერლინის ახლოს უმუშევრებმა დალეწეს რამოდენიმე სურსათის სავაჭროები. პოლიციამ გაფანტა უმუშევრები და ბევრი მათგანი დაატუსაღა.

საფრანგეთი

რა უნდათ საფრანგეთის კაპიტალისტებს.

მოსკოვი, 20 ნოემბ. (რადიო). ინგლისისადმი გაგზავნილ ნოტაში საფრანგეთის მთავრობა აცხადებს, რომ რუსეთის მიერ ვალების ცნობას ის თვლის სასურველ ნაბიჯათ, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს საბჭოთა ხელისუფლებას იცნობს მოკავშირეები. მოლაპარაკება საბჭოთა ხელისუფლების ცნობის შესახებ დაწყებული იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც რუსეთი იცნობს სახელმწიფო ვალებს (ისიც არ არის მიღებული).

ვალების ცნობის გამო.

მოსკოვი, 20 ნოემ. (რადიო). საფრანგეთის საგარეო სამინისტრომ გამოაქვეყნა 6 ნოემბერს ლონდონში გაგზავნილი ნოტა, სადაც ნათქვამია: „საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარის განცხადება ბედნიერი შედეგია რუსეთისადმი საფრანგეთის შეუდრეკელი და მტკიცე პოლიტიკისა. ეს პირველი სასურველი ნაბიჯია. რუსეთისგან ვალების ცნობას არ შეიძლება შევხედოთ, როგორც დათმობას, საბჭოთა მთავრობის ცნობასთან დაკავშირებულს. საბჭოთა მთავრობამ ყოველ პირობის გარეშე უნდა განაცხადოს, რომ ის თანახმაა დაემორჩილოს საერთაშორისო უფლების პრინციპებს. მთავრობა უნდა გამოხატავდეს ერის ნებას, რაც ეხლა არ არის. უცხოელები უნდა სარგებლობდენ უფლებებით. საბჭოთა მთავრობამ უარი უნდა თქვას პროპაგანდის წარმოებასა და სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში ჩარევაზე. იმის შემდეგ, როდესაც მოსკოვის მთავრობა შეასრულებს აი ძირითად პირობებს, საფრანგეთი დათანხმდება განიხილოს საკითხი მასთან მოლაპარაკების დაწყების შესახებ“.

იტალია.

შავრაზმელები განაგრძობენ თავაშვებულობას.

მოსკოვი, 21 ნოემ. (რადიო). რომიდან განდევნილმა შავრაზმელებმა პროვინციაში დაიწყეს მუშათა ორგანიზაციების რბევა. პოგრომები ხდება პარტიულ მუშაკების მკვლელობებით.

ფერარაში ფაშისტებმა მოკლეს სოციალისტი უკერო. ფლორენციაში ცემეს კომუნისტი დეპუტატი. რომში შესდგება ფაშისტებისაგან მოკლული მუშების მრავალრიცხოვანი დასაფლავება. მუშები გაფიცვით იმუქრებიან. ჩეხო-სლოვაკიის ფაბრიკანტების კავშირმა განუცხადა საფეიქრო ფაბრიკების მუშებს, რომ გაფიცვის პირველ ცდასთან ერთად ის დახურავს ფაბრიკებს და დაითხოვს მათ.

ლატვია

კომუნისტების დატუსაღება.

მოსკოვი, 21 ნოემ. (რადიო). ლატვიაში მოახდინეს კომუნისტების მასიური დატუსაღება.

მშრომელთა დიქტატურის პირველი სიმაგრე

საქართველოს რევკომის, კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების პრეზიდიუმების 19 ნოემბრის გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა:

შეუდგნენ თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნებისათვის სამზადისს.

ამორჩეულია კომისია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით. **ვაზბეკოვი**—ქალაქის რევკომიდან, **ლოლობერიძე და კახიანი**—თბილისის კომიტეტიდან, ყურულაშვილი—პროფსაბჭოდან, [illegible]—ცენტრალური კომიტეტიდან. კომისიის ორი წევრი წამოყენებულია საქართველოს წითელი ლაშქრისა და კავკასიის ცალკე არმიიდან.

კომისიის პირველი სხდომა დანიშნულია 21 ნოემბრისათვის.

ქრონიკა

ულუფის დარიგება. ა. წ. 23 ნოემბრიდან მუშათა მთლიან კოოპერატივიდან დაიწყება № 5 ულუფის დარიგება საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეებისა (სახელმწიფო წარმოებების) და მუშებისათვის, რომლებიც იღებენ ულუფას საბარათო ბიუროდან. დარიგება მოხდება დუქნებიდან №№ 4 (პუშკინის ქ.), 7 (ავლაბარი, კახეთის მოედანი) და 10 (ელისაბედის ქ. და პიროგოვის ქ. კუთ.). ორდერების გაცემა წარმომადგენლებზე დაიწყება ა. წ. 21 ნოემბერს მთლიან კოოპერატივის დუქნების განყოფილებიდან, მე-2 სართული, ოთახი № 4 (ყოფილი საგარეო ვაჭრობის განყოფილება) და შემდეგ პროდუქტების დარიგება მოხდება იმ წესების მიხედვით, რომლებიც წინად არსებობდა. ორდერების გამოწერა და პროდუქტების გაცემა შეწყდება 1 დეკემბერს, რის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ იქნება მიღებული მხედველობაში.

მუშათა მთლიანი კოოპერატივში. თფილისის გაერთიანებულმა მუშათა კოოპერატივის ინიციატივით 25 ნოემბერს მოწვეულ იქნება საქართველოს მუშათა კოოპერატივების თათბირი. თათბირის მუშაობის პროგრამა შეიცავს შემდეგ საკითხებს: 1. მუშათა კოოპერატივის მიზნები, 2. მოხსენებანი ადგილებიდან, 3. საორგანიზაციო საკითხი და 4. დამოკიდებულება მოქალაქეთა საერთო კოოპერაციასთან (ცეკავშირი).

— თათბირის მიზნათ აქვს მოაწყოს სრულიად საქართველოს მუშათა ცენტრალური კოოპერაცია და დაამყაროს საქართველოში მუშათა კოოპერატივის პოლიტიკის მახლობელი მიმართულება. თფილისის მუშათა გაერთიანებულ კოოპერატივის ცნობით თითქმის ყველა მაზრებში უკვე მოეწყო მუშათა კოოპერატივები და ნაყოფიერადაც მუშაობენ. საერთო რიცხვი მუშათა კოოპერატივების საქართველოში აღწევს 22, თათბირზე მოწვეულია თითო წარმომადგენელი მუშათა კოოპერატივის თვითეულ გამგეობიდან.

— თფილისის მუშათა გაერთიანებულ კოოპერატივში 15 ათასი წევრია მუშა და მოსამსახურე. ამ რიგად მუშათა კოოპერატივი წევრთა რიცხვის მიხედვით არის ამ ჟამად ყველაზე უფრო დიდი თფილისში. ამდენი წევრი არ ყოფილა თფილისის არც ერთ კოოპერატივში. მათ შორის ყველაზე უფრო მსხვილში „თფილისის კოოპერატივში“ მთელი მის არსებობის ხანაში (5 წელზე მეტი) ჩაწერილ წევრთა რიცხვი აღწევს 15,000 მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ჩაწერილთა დიდი ნაწილი გადაიქცენ „მკვდარ სულებად“ და წევრთა ფაქტიური რიცხვი ამ ჟამად არ აღემატება 6—7 ათას. უკანასკნელ ხანებში ქალაქში მუშათა კოოპერატივის დუქნების გამრავლების გამო გაძლიერდა წევრთა ჩაწერა. კანტორა ვერ ასწრობს საწევრო წიგნაკების გამოწერას, ამისათვის კანტორის მუშები მუშაობენ საღამოთაც, რომ ჩქარა მისცენ წიგნაკები წევრებს.

პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია. დაარსდა საორგანიზაციო ბიურო საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციისა. ყველა მწერლები (პოეტები, ბელეტრისტები და დრამატურგები), რომელთაც სურთ ემსახურონ პროლეტარულ მწერლობას, უნდა ჩაეწერონ ასოციაციის წევრებათ. ჩაწერა შეიძლება პოლიტიკურ განათლების მთავარ მმართველობაში სანდრო ეულთან.

ხიდების შეკეთება ნოემბრის თვეს რკინის გზების 14 დაზიანებულ ხიდიდან შეუკეთებელი დარჩა მხოლოთ 2: გრაკლისა და სოღანლუღისა. გრაკლის ხიდის შეკეთება აქამდე შეუძლებელი იყო, რადგან ჯერ ვერ მიიღეს ხიდის რკინის ფერმის ნაწილები კავკავის რკინის გზის სადგურ ტიხორეცკის სახელოსნოებიდან. გრაკლის ხიდის შეკეთებას შეუდგნენ 1 ნოემბრიდან. სოღანლუღის ხიდზედაც მუშაობენ. ორივე ხიდი დამთავრებულ იქნება დეკემბრის გასულს.

ამერიკული სასადილო. ამერიკულმა დახმარების კომიტეტმა დაადგინა ნაძალადევში გახსნას სასადილო 1000 კაცისათვის. კომიტეტმა დაადგინა, ავლაბარში არსებულ ზოგიერთ სკოლებს, დახმარება აღმოუჩინოს საუზმის მიცემით.

ბათუმის ნავთსადგურში. ბათუმის ნავთსადგურში ჩამოვიდა გემი „ალდო“, რომელმაც ჩამოიტანა 300 ტონი სხვა და სხვა ტვირთი და მოიყვანა 8 მგზავრი. ნოემბრის 8 ნავთსადგურში ჩამოვიდა 5 იალქნიანი გემი 500 ფუთი ტვირთით, ხოლო გავიდა 6 იალქნიანი და საბუქსირო გემი 800 ფუთი სხვა და სხვა ტვირთითა და 1840 ფუთი ნავთით.

სახალხო განათლების კომისარიატის კინო სექცია. „არსენ ჯორჯიაშვილის“ სურათების გადაღებათ მუშაობა გრძელდება. ნატურალური გადაღება დამთავრებულია. დარჩა ერთი დღის სახლში მუშაობა, მაგრამ ცუდი ამინდი ხელს უშლის მუშაობას. ნეგატივები დამთავრებულია და შეუდგნენ ახლების დამზადებას, მაგრამ მუშაობა ჩერდება ელექტრონის ნაკადის მოუცემლობის გამო ადამოვის სადგურიდან.

სახალხო განათლება თბილისში

საბავშვო ბაღები.

გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ სასკოლო ჰასაკამდე ბავშვების უმეტესი რიცხვი იმყოფება მუშებით დასახლებულ ქალაქის განაპირა უბნებში, სახალხო განათლების განყოფილებამ თავის მიზნათ დაისახა პირველ რიგში გახსნა საბავშვო დაწესებულებების, ე. ი. ბაღების, სკვერების, ზაფხულში კი [illegible] შექმნა სწორედ, ქალაქის განაპირა უბნებში, სადაც ბავშვები მუშებისა, რომლებიც მთელი დღე წარმოებებში მუშაობდენ, ქუჩაში რჩებიან ყოველ ზედამხედველობის გარეშე. სახალხო განათლების განყოფილების მიერ ამ მიმართულებით გადადგმულ იქნა ნაბიჯები მუშათა რაიონებში და აგრეთვე მუშების მიერ დაკავებულ სახლებში საბავშვო ბაღების მოსაწყობათ. სასწრაფოთ წლის დასაწყისისათვის გაიხსნა 6 საბავშვო ბაღი, ოქტომბრის განმავლობაში კი კიდევ 4 და ამნაირად ნოემბრის 2 მდის მოქმედებდა 10 საბავშვო ბაღი, რომელთაგანაც 5 ქართულია, 2 რუსული, 1 გერმანული და 2 იც სხვა და სხვა ეროვნების ბავშვებისათვის. 8 ბაღში 337 ბავშვი იზრდება. გახსნილად 8 საბავშვო სახლი, 4 სომხური, 2 რუსული და 2-იც ქართული.

ბავშვების მომარაგება.

ქალაქის სახალხო განათლების განყოფილების დაწესებულებათა სკოლების, საბავშვო სახლებისა და საბავშვო ბაღების ბავშვთა სურსათ სანოვაგით მომარაგების დარგში გაკეთებულია ყოველივე, რაც კი შესაძლებელი იყო, მაგრამ უკანასკნელ დრომდე, ე. ი. ოქტომბრის თვემდე მომარაგება ნამდვილად არანორმალური იყო, რადგანაც თუმცა მომარაგების სახალხო კომისარიატის მიერ გამომუშავებული იყო კვების ნორმა, მაგრამ ქალაქის სასურსათო კომიტეტი იმის ნახევარსაც კი არ იძლეოდა. რაც ამ ნორმით ეკუთვნოდათ ბავშვებს- ამ ჟამად ბავშვების კვება იმყოფება ნორმალურთან დაახლოვების სტადიაში. ოქტომბერში ბავშვების კვება საბავშვო სახლებში დღეში 4-ჯერ წარმოებდა: დილას—ჩაი, პურით და ყველით, ან რძით. 11 საათზე—საუზმე, რძე პურით, 3 საათზე—სადილი, ორი ან ერთი თავი (ყველდღე ხორციანი), საღამოთი—ჩაი და ვახშამი (იმ შემთხვევაში, როდესაც სადილი ერთთავიანია) საბავშვო სახლების ბავშვები იღებენ ტკბილ ჩაის, თითო ჭიქა რძეს და თითო გირვანქა პურს.

დაწესებულებანი განიცდიან თეთრეულის, ტანისამოსის, დგამის და სასადილოს და სამზარეულოს ჭურჭლეულობის ნაკლებობას.

სასკოლო ჰასაკამდე ხნის ბავშვები.

ქალაქის სახალხო განათლების განყოფილების სტატისტიკის მიხედვით ქალაქში სასკოლო ჰასაკამდე ხნის ბავშვები ითვლება 7326.

საბავშვო მოედნები.

ქალაქის სახალხო განათლების განყოფილების საბავშვო მოედნების მომწყობ სექციის მიერ გამართულ იქმნა ციკლო-ხაიანი კურსები საბავშვო მოედნების ხელმძღვანელთა მოსამზადებლად.

ივლისის დასასრულს და აგვისტოს დასაწყისში იყო 18 მოედანი, ჩაწერა ამაში ბავშვების დიდი რიცხვი, ესწრებოდნენ ჩაწერილთა დაახლოვებით ერთი მესამედი, ერთი მეოთხედი ნაწილი, ე. ი. 2500,300 მოედნებზე სწარმოებდა თამაშობა სიმღერით, ტანთვარჯიშობა, სასცენო ტანთვარჯიშობა, სიმღერა, გამოძერწვა, ხელის სამუშაო დარგის სახით, ქაღალდიდან, კარდონიდან და სხვა უვარგის მასალიდან გაკეთება, [illegible], დეკლამაცია, პლასტიკა, ცეკვა, შარადები, იგავ-არაკები, [illegible] და სურათი. უდიდესი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ქალაქში გასანათლებელ ექსკურსიებს, ბოტანიკურ ბაღში, წმ. დავითის მთაზე, ორთაჭალაში, მტკვარზე, [illegible] სადგურზე, წისქვილებში და სხვა. სექტემბრის შუა რიცხვებში მოედნების სეზონი გათავდა.

ბავშვების უფლებრივი დაცვა.

ქალაქის სახალხო განათლების ბავშვთა უფლებრივ დაცვის ქვეგანყოფილებაში მოწყობილ იქმნა ორგანიზაციული კომისია არასრულ წლოვანთა შესახებ, რომლებსაც ჩაუდენიათ საზოგადოებისათვის საშიში მოქმედებანი. კომისია, რომელიც შედგენილია თანახმად იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ გამომუშავებულ დეკრეტისა, ექვემდებარებიან ბავშვები 18—წლამდე, რომლებმაც ჩაიდინეს საზოგადოებისათვის საშიში მოქმედებანი. კომისიაში შედიან: იურისტი, ექიმი—ფსიხიატრი და პედაგოგი. კომისიის პირველი სხდომა შესდგა ივლისის 4. კომისიამ შეიმუშავა საანკეტო ფურცელი 20 შეკითხვით გამოსარკვევად პირობებისა და მცირე წლოვანის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობისა კომისიაში შევიდა 54 საქმე, მათში უმეტესობა ქურდობის შესახებ. საქმეების შემდეგ 38 მცირე წლოვანი. ბოროტმოქმედებანი მიცემულნი არიან პასუხისმგებელ ზედამხედველობის ქვეშ, 6 საქმე მოსპობილია ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო, და 3 მცირე წლოვანიც გაგზავნილია მორალურ-დეფექტიურთა საბავშვო სახლში.

რევ. ტრიბუნალის დადგენილება

მენშევიკებმა საქართველოში თავის სამი წლის ბატონობის განმავლობაში სისხლის მართლმსაჯულების სფეროში, როგორც საზოგადოებრივ პოლიტიკურ, ისე სხვა სფეროებშიც, ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწიეს წინ შედარებით რევოლიუციის წინა დროსთან. ძველი სასამართლოს მთელი აპარატი პროკურატურით, სენატით და სამხედრო სასამართლოებით სწარმოებდნენ ძველებურათ, მოხდა მხოლოდ პატარა პერსონალური ცვლილებანი. აგრეთვე დარჩა ხელუხლებელი ყველა ძველი მატერიალური და პროცესუალური სისხლის სამართლის უფლება, ყველა მეფის კოდექსები—სასჯელთა დებულება 1847 წლისა, სასჯელთა სამხედრო ბეგრის წესდება 1862 წლისა, წესდება სისხლის სამართლის საქმის წარმოებისა 1864 წლის. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან მთელი ეს მეფის ეპოქის მანქანა დამსხვრეულ იქნა. მის მაგიერ მაშინათვე დაარსდა უმაღლესი რევტრიბუნალი საქართველოს რევკომთან. საქართველოს გასაბჭოების პირველ დღეებშივე შექმნილი რუსეთის მაგალითის მიხედვით და საგანგებო სასამართლოს სახით საზოგადოებრივ პოლიტიკურ და სამსახურის დროს ჩადენილ დანაშაულებთან ბოროტმოქმედებთან საბრძოლველათ, ის, რადგანაც ჯერ არ იყო დასრულებული გარდაქმნა საოლქო და მომრიგებელ სასამართლოებისა სახალხო სასამართლოებათ, იძულებული იყო გარემოებათა მიხედვით მიეღო თავის თავზე შესრულება ჩვეულებრივი სასამართლოების ორგანოების ფუნქციებისა.

ეს კიდევ ცოტაა. ვინაიდან არ არსებობდა საქართველოს რევსამხედრო ტრიბუნალი, აგრეთვე საკასაციო და საგუბერნიო ტრიბუნალი, უმაღლესი ტრიბუნალი აქამომდე აწარმოებს სამუშაოს, რომელიც შეადგენს ამ დაწესებულებების კომპეტენციას, ახორციელებს თვალყურის დევნას საქართველოს ყველა ტრიბუნალების მოქმედებაზე. კონტრ-რევოლიუცია, საბოტაჟი, საბჭოთა ხელისუფლების სახელის გატეხა, ბანდიტიზმი, აღრიცხვაზე აღებულ საქონლის გადამალვა, ბოროტი სპეკულიაცია, მექრთამეობა, ყალბი საქმეების გაკეთება და სამსახურის სხვა გვარი ბოროტმოქმედებანი, აი საქმეთა სია, რომელსაც არჩევს რესპუბლიკის მასშტაბით რევტრიბუნალი. თუ ამას მიუმატებთ საქმეებს, რომელიც შემოდის საკასაციო წესით, მაშინ სურათი საქმეებით მის მეტისმეტათ დატვირთვისა შეიქნება ცხადი. განსაზღვრის აპარატი, მხოლოდ 52 მუხლში, რევტრიბუნალის დებულებისა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს რევკომის მიერ ამა წლის 3 აპრილს, ბადებდა საჭიროებას ფრთხილ და მცოდნე პასუხისმგებელ თანამშრომლების არჩევისას, რომლების ხელშიც ტრიბუნალის მოქმედების საფუძვლათ აღიარებული იდეა რევოლიუციის მიზანშეწონილობის და პროლეტართა ბრძოლის ინტერესების დაცვისა, ხელმძღვანელ კანონის მაგიერ არ გადაქცეულიყო თვითნებობის და პირადი ანგარიშების გასასწორებელ იარაღათ. ექვსი თვის არსებობის განმავლობაში ტრიბუნალში აღიძრა 500 საქმე. განმკარგულებელ და სასამართლოს სხდომებზე განხილული იქნა დაახლოვებით 200 საქმე, რომელთაგან უმეტესი პროცენტი თანამდებობის და სამხედრო ბოროტმოქმედებისა.

სასამართლოს ყველა სხდომები საჯარო იყო, მათ შორის უმეტესი ნაწილი სწარმოებდა მხოლოდ ბრალდების და დაცვის წარმომადგენლის მონაწილეობით. იყო სამი გამგზავრებული სესია და უკანასკნელ დროს მოხდა გენერალური რევიზია ქუთაისის გუბერნიის და ბათომის ოლქის ტრიბუნალისა. პირველ მათში, როგორც საქმის წარმოება, ისე სასამართლო-გამოძიების ნაწილი დაყენებულია ძალიან კარგათ, ბათომის ტრიბუნალში — სუსტათ, მაგრამ იქაც მუშაობა მალე გამოსწორდება.

საბჭოთა მართლმსაჯულება

1921 წ. ნოემბრის 13-ს ს. ს. ს. რ. უზენაეს რევტრიბუნალის მიერ ქ. შულავერში განხილულ იქმნა საქმე ეფიმ ვაკუტინის, ხოვო მიხაილოვის ბორჩალოს მაზრის მცხოვრებისა, რომელსაც ბრალდებოდა კონტრ-რევოლიუცია და სპეკულიაცია, რაც გამოიხატა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აგიტაციის გაწევაში, ზარბაზნის ყუმბარების, იარაღის და დიდძალ საქონლის შენახვაში, გლეხების უმიზეზოთ თავის ნებით დაპატიმრებაში და სხვა.

და მიიღო რა მხედველობაში რომ, სასამართლოს გამოძიებით, საქმეში ჩართულ საბუთებით და მოწმების დაკითხვით სრულიად დამტკიცებულია ბრალდება, ხოლო ის ბრალდე-

ბა, რომელიც გამოიხატა (საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდის გლეხებისადმი ცუდათ მოპყრობაში, აგრეთვე თავის მწყემსის თავის ნებით დატუსაღებაში 1921 წლის 25 თებერვლის მანიფესტის ძალით გაუქმებულია, დაადგინა: ეფიმ ლუკიანის ძე ვოუტინცს მიესაჯოს სამი წლის იძულებითი საზოგადო სამუშაო თავისუფლების აღკვეთით, წინასწარ გამასწორებელ სახლში ჯდომის ვადის ჩარიცხვით.

მუშის წერილი

რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ საბჭოთა ხელისუფლების მტრებმა, მაინც ამ რეჟიმმა ჩვენ, მუშებს, ბევრი რამ მოგვანიჭა და ყოველთვის პირველ რიგში იგი ზრუნავს მშრომელთათვის; მან გახსნა „ცხრაკლიტული“, გაგვიღო კარი და გვიჩვენა ფართე გზა, საწი ჩვენი საქმეა თუ როგორ ვისარგებლებთ მონიჭებულით. მოგვენიჭა კი ბევრი რამ: გარდა იმისა რო გახსნილია ყველასათვის ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, სადაც შეიძლება წაკითხვა ჟურნალ-გაზეთების და სარგებლობა შინაარსიანი წიგნების, იმავე დროს შეიძლება სხვადასხვა კურსებ-შკოლებში მეცადინეობა, თვითგანვითარება, გამოჩენა ნიჭის და უნარის.

მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ ჩაგვაბარა ფრიად დიდ მნიშვნელოვანი მუშათა სასახლეები, სადაც დასახლდეს კავშირების წევრები-მუშები. ამ სასახლეში შეიძლება თითო ოთახი დაეთმოს კულტურულ-განმანათლებელ მიზნებს და მოეწყოს იქ ყოველგვარი მეცადინეობა ჩვენი ცხოვრების ამა თუ იმ თემაზე; ასეთი სამკითხველოები, ჩემის აზრით, დიდ როლს ითამაშებენ მუშების გასათვითცნობიერებლათ და აღუძრავენ ინტერესს.

ამ სახლებით ისე კი არ უნდა ვისარგებლოთ როგორც ჩვეულებრივი საცხოვრებელი ბინით, არამედ იქ უნდა ჩაინერგოს, განვითარდეს კომუნისტური მრწამსი!

დასასრულ მე საჭიროთ მიმაჩნია აქ აღვნიშნო: ყოველი მუშა უნდა გრძნობდეს რო სახლი—„კაზიონი“ არ არის, არის საყოველთაო და ყველა უნდა გაუფრთხილდეს თითო აგურსაც კი. სახლებში უნდა იქნან ამორჩეულნი სახლის კომიტეტებში დაინტერესებული სინიდისიერ-პატიოსანი პირები რომლებიც გაუფრთხილდებიან სახლს და დაიცავენ იქ წესიერებას, სისუფთავეს.

მუშა ვანო ბერბერაშვილი.

წარმოებისა პროფკავშირებში

ხელოვანთა კავშირის მუშაობა ოქტომბერში.

იმ საკითხთა შორის, რომლებიც ირჩეოდა ოქტომბერში პრეზიდიუმის სხდომებზე, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მათ შორის საკითხი რუსულ აკადემიურ დრამის მტკიცე შტატების და უკრაინის დრამატიულ დასის დამტკიცება. პირველი საკითხი საბოლოოდ გადაწყდა და მტკიცე შტატები დამყარებულია. დადებითად გადაწყდა მეორე საკითხიც. კავშირმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ყველა თეატრალურ დაწესებულებებში შტატების შემცირებას. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ შედგენილი იყო კომისია შტატების შესამცირებლად, კავშირიდგან კი მასთან მუშაობდა ქვე კომისია. მუშაობა სწარმოებდა განათლების სახალხო კომისარიატის და ადგილობრივ კომიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით. დამთავრდა სახელმწიფო სახალხო მუსიკალურ სტუდიების მოწყობა. ამავე დროს შესდგა სამხატვრო საბჭო. ურთიერთ ინფორმაციის მიზნით განათლების სახალხო კომისარიატის სხვა და სხვა განყოფილებათა შორის, პრეზიდიუმის სხდომებზე დროგამოშვებით კეთდებოდა მოხსენებები. ცოტა მოლაპარაკების შემდეგ მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება განათლების სახალხო კომისსარიატის განყოფილებათა შორის და კავშირის ეკონ. განყოფილებას მუშაობაში. ეკონომიურ განყოფილებასთან დაარსდა მუშა-ძალის აღრიცხვის ქვე-განყოფილება, სადაც აღრიცხულია 120 უმუშევარი. ამ რიცხვიდგან სამუშაოზე გაიგზავნა 40 კაცი. კულტურულ განმანათლებელი მუშაობა გამოხატა სახელმწიფო ოპერასთან პირველ საფეხურის სკოლების გახსნით. მტკიცე ტარიფი გატარდა 16 წარმოებაში. კავშირში ირიცხება 1485 წევრი. პროვინციასთან კავშირი სუსტია.

ოქტომბრის დღესასწაული პროვინციაში

ქ. ახალ სენაკი.

ოქტომბრის რევოლიუციის ოთხი წლის დღესასწაულმა თავისი სიდიადით და საქმიანი ხასიათით დაფარა ყველა ის დღესასწაული, რაც კი უნახავს ქალაქ ახალ-სენაკს, როგორც ნიკოლოზის ისე მენშევიკების დროს: მყვირალა ფრაზებს და დღესასწაულის გარეგნულ სახეზე ზრუნვას ამ დღეს ნაკლები ადგილი ჰქონდა დათმობილი. დღესასწაულის მომწყობ სამაზრო კომისიის ყურადღება თავიდან მიქცეული იყო იქითკენ, რათა 7 ნოემბერი, პირველი დღე შრომის კაპიტალზე გამარჯვების, აღნიშნულ მშრომელთათვის ფრიად სასარგებლო და მიუცილებელ სხვა და სხვა დაწესებულებათა გახსნით: როგორც არიან: ქოხ სამკითხველოები, კლუბები და საბავშო ბაღები.

დილის 9 საათზე ყველა დაწესებულებათა მოსამსახურეებმა და ქალაქში არსებულ სკოლების მოწაფეებმა თავი მოიყარეს სამაზრო პარტკომის წინ, საიდანაც მწყობრად რევოლიუციონური დროშებით და ინტერნაციონალის სიმღერით გაემართენ მიქელაძის ყოფილ სახლისაკენ, სადაც განზრახული იყო საბავშო ბაღის გახსნა. ხალხი აუარებელი მოგროვდა. საბავშო ბაღისთვის მიჩენილი სახლი იყო მორთული ყვავილებით და პლაკატებით. ინტერნაციონალის შესრულების შემდეგ გამოვიდა განათლების განყოფილების გამგე ა. ხ. ვასილ ქობულაძე, რომელმაც დამსწრეთ მოკლეთ განუმარტა საბავშო ბაღის და შრომის სკოლის მნიშვნელობა, გაუფანტა ის პროვოკაცია, რომელსაც ადგილი ქონდა გადატრიალების პირველ ხანებში, საბავშო ბაღის გარშემო, გამოაცხადა რა გახსნილათ საბავშო ბაღი, მოუწოდა დამსწრე მოქალაქეთ დამდგარიყვნენ გარეშე პარტიულ ქიშპობებისა და არ დაეშურათ არავითარი ძალ ღონე საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად პედაგოგიკის მაღალ პრინციპების განსახორციელებლად. ამხანაგ სამსონ მამულიამ მიესალმა დამსწრე ახალგაზრდობას და უსურვა მათ გამოსულიყვნენ მომავალი შრომის სახელმწიფოს ღირსეულნი მოქალაქენი. საბავშო ბაღების მნიშვნელობისა და თანამედროვე პედაგოგიკის პრინციპების შესახებ მოხსენებით გამოვიდა მასწ. დემურია და ახალსენაკის რაიონის მასწავლებელთა კავშირის სახელით მიესალმა რა ამ დიად დასაწყისს საბავშო ბაღის გახსნას—აღნიშნა დასტურით, რომ მასწავლებელნი ასეთ დიად საქმისათვის არ დაზოგავენ არავითარ ძალ-ღონეს და საბჭოთა მთავრობასთან ერთად მთელ თავიანთ ენერგიას მოახმარენ პედაგოგიკის მაღალ პრინციპების განხორციელების საქმეს. ბავშვთა მიერ იქნა წაკითხული სხვა და სხვა რევოლიუციონური ლექსები, რითაც დამსწრე საზოგადოება დიდათ კმაყოფილი დარჩა. დამასრულ გადაღებულ იქნა სურათი. საბავშო ბაღიდან ყველა იქ დამსწრენი მწყობრად და ინტერნაციონალის სიმღერით გაემართენ ქალაქის ბაღისაკენ, სადაც დამზადებული იყო ტრიბუნა და დადგმული ლენინის ძეგლი. ლენინის გამოხატულების გამოჩენამ დიდი აღფრთოვანება და ხანგძლივი ტაში გამოიწვია დამსწრეთა შორის. ძეგლის გახსნისას ამხ. ს. მამულიამ მოკლე სიტყვით დაახასიათა პიროვნება ამხ. ლენინისა, ამ მსოფლიო პროლეტარიატის იმედისა და სიამაყისა. ამას შემდეგ მიტინგი გახსნა ოქტომბრის დღესასწაულის მომწყობ სამაზრო კომისიის სახელით ამხ. ვანო ჩაკვეტაძემ. სამაზრო პარტიულ კომიტეტის სახელით მიტინგს მიესალმა ამხ. მაკარი ზედიძე. ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა რუსულ ენაზე № პოლკის სამხედრო კომისარი. ვრცელი მოხსენება გააკეთა ქართულ ენაზე ამხ. სამსონ მამულიამ. ამხ. მამულია ვრცლად შეეხო რევოლიუციის გამომწვევ მიზეზებს, საკმაოდ გაარკვია თებერვლის რევოლიუციის საფეხურები, ნათელყო მენშევიკების და ესერების მუშათა კლასის მიმართ მუხანათური პოლიტიკა, ხაზი გაუსვა ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართ და სამოქალაქო ომის ცალკე საფეხურებს. მენშევიკების და ესერების დამოკიდებულებას ოქტომბრის რევოლიუციისადმი. ამხ. დაახასიათა რუსეთის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა და ხაზი გაუსვა მის სამოქალაქო ომიდან ძლევა-მოსილ გამოსვლას. ორატორი დიდხანს შეჩერდა ქართველ მენშევიკების დამოკიდებულებაზე ოქტომბრის რევოლიუციასთან და საქართველოში მომხდარ გადატრიალებაზე. ნათლად და გასაგებათ გაარკვია გადატრიალების ფასი და მნიშვნელობა ქართველ მშრომელ კლასისათვის. თავის სიტყვის დასასრულ ამხანაგი შეეხო კომინტერნის არაჩვეულებრივ ზრდას, როგორც თავდებს მსოფლიო რევოლიუციის მოახლოვებისას. სიტყვა დაასრულა ამხანაგმა მოწოდებით მშრომელთადმი, რათა მათ იბრძოლონ მედგრად მსოფლიო რევოლიუციისათვის და მშრომელთა საბოლოო განთავისუფლებისათვის.

ქალაქის ბაღიდან მიტინგი გადატანილ იქმნა ძმათა სასაფლაოზე, სადაც გამოსულ ორატორებმა მოიგონეს რა ბრძოლის ველზე უდროოდ დაღუპულ ამხანაგთა ღვაწლი, მიულოცეს მათ პირველი თავისუფალი ოქტომბრის დღესასწაული.

ამ დღეს სენაკში გახსნილ იქმნა ცენტ. მუშათა კლუბი, ცენტრალური სამკითხველო და ბიბლიოთეკა, რამოდენიმე ქუჩასაც გამოეცვალათ სახელწოდება და დაერქვათ პროლეტარულ რევოლიუციის ბელადთა სახელები.

საღამოს გაიმართა ქალაქის ყველა საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეთა და მუშების საერთო საზეიმო სხდომა. ამხ. მაკარ ზედიძის მიერ წაკითხულ იქმნა საბჭოთა თეატრში ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ. ამხანაგი ვრცლად შეეხო რუსეთის რევოლიუციის თითეულ ეტაპს დაწყებული მეფის ტახტის დამხვრევიდან, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდი. მომხსენებელის რევოლიუციონური ენტუზიაზმით აღსავსე სიტყვებმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვიეს მსმენელებში, განსაკუთრებით მუშებში, რომელნიც ტაშის ცემით ამხანაგს ხშირად აწყვეტინებდნენ სიტყვას. მოხსენება გაგრძელდა ერთ საათზე მეტი და დასტოვა მსმენელებზე ღრმა შთაბეჭდილება.

საერთოდ მთელმა ქალაქმა დიდებულად იდღესასწაულა 7 ნოემბერი, მაგრამ განსაკუთრებული მხიარულებით და ენტუზიაზმით მას შეხვდნენ მუშები, რომლებმაც ამ დღეს მოიპოვეს პირველი დიდი გამარჯვება კაპიტალზე, და ახალგაზრდები, რომლებსაც 7 ნოემბერმა მოუტანა მათი მეგობარი და მათზე მზრუნავი ხელისუფლება—საბჭოთა ხელისუფლება.

ე. გ—ძე.

ბანძის რაიონი (სენაკის მაზრა).

ა. წ. 7 ნოემბერს ბანძის რაიონის მშრომელებმა დიდი ზეიმით იდღესასწაულეს ოქტომბრის უდიდესი რევოლიუციის ოთხი წლის თავი. ყველა საბჭოთა დაწესებულებები რაიონის ფარგლებში საგანგებოდ მორთულიყვნენ. სასწავლებლებში დილის ცხრა საათიდან გაიმართა დღის შესაფერი საბავშო დილა, რის შემდეგ თემების რევკომებთან უკვე შეგროვილ ხალხს შეუერთდა მომავლის იმედი მოზარდი თაობა და შეერთებულად გასწიეს ბანძაში, სადაც დაახლოვებით ნაშუადღევის 1 საათზე შეგროვდა მთელი რაიონიდან აუარებელი ხალხი. ორ საათზე გაიხსნა მიტინგი. მიტინგის გახსნისას კრებას მიესალმა და მიულოცა მსოფლიო პროლეტარიატის უდიდესი დღესასწაული ბანძის რაიპარტკომის პას. მგებელ მდივანმა. შემდეგ მოხსენება გაუკეთეს კრებას სამაზრო პარტკომის საგანგებო წარმომადგენელ ამხ. მამანტი კაპარავამ და ახალგაზრდების სახელით ამხ. მიხა კაპარავამ. პირველმა ღირსეულად დაუსურათა კრებას ის თუ რა გააკეთა საბჭოთა რუსეთმა ოთხი წლის განმავლობაში და რის გაკეთებას ცდილობს მომავლისათვის. მანვე გაუსვა ხაზი საქართველოს რევოლიუციონური მთავრობის მუშაობას წარსულში და მომავლისათვის.

ამხ. მიხა კაპარავამ, გაუთვალისწინა რა ყოფილი მთავრობების პოლიტიკა მოზარდი თაობის მიმართ, გააცნო დამსწრე ახალგაზრდობას საბჭოთა მთავრობის გეგმა აღზრდა-განვითარების საქმეში და მოუწოდა მათ ენერგიული და ნაყოფიერი მუშაობისაკენ. ამის შემდეგ კრებამ გამოიტანა დღის შესაფერისი რეზოლიუცია.

ი. ბ.

ს. ლეძაძამი (სენაკის მაზრა).

7 ნოემბერს შესდგა ლეძაძამის თემის მრავალრიცხოვანი მიტინგი სადაც თავი მოიყარა დიდძალმა ხალხმა, მათ უერთდება ადგილობრივი კომკავშირის წევრები წითელი დროშებით ხელში და რევოლიუციონური სიმღერებით. აგრეთვე აღსანიშნავია ადგილობრივ თემის მოწაფეების შეხვედრა ამ დიადი დღესასწაულისადმი. მოდიან მწყობრად ყველა სკოლებიდან ცალცალკე, რევოლიუციონური სიმღერის გუგუნით, და თან მოაქვთ თავიანთი პაწაწა ხელებით წითელი დროშები. მათ მოკლე სიტყვით მიესალმა ნოქალაქევის რაიონპარტკომის ინსტრუქტორ-ორგანიზატორი ამხ. ალ. ჯოჯუა. რის შემდეგ იხსნება მიტინგი. მიტინგს ხსნის ლეძაძამის თემის კომიტეტის სახელით თემალმის მდივანი ამხ. დავით ქადარია. სიტყვა ეძლევა ამხ. ალექსანდრე ჯოჯუას, ის თავისი მოკლე და შინაარსიანი სიტყვებით უხსნის მიტინგს დიდი ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობას და მის გამარჯვებას, აგრეთვე უმარტავს ყველა, იმას რაც გააკეთა საბჭოთა მთავრობამ მის არსებობის ხანაში.

მოხსენებით მიტინგი დარჩა დიდი კმაყოფილი, რის შემდეგ გამოტანილი იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

ჩვენ ლეძაძამის თემის მრავალრიცხოვანმა მიტინგმა მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ალ. ჯოჯუასი ერთხმად დავადგინეთ: მივესალმოთ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა მთავრობას. ჩვენ როგორც ერთი კაცი ფიცსა ვდებთ მის წინაშე, რომ არ მივცემთ ნებას არავის შეეხოს საბჭოთა ძალა-უფლება და თუ კი ვინმე მოინდომებს მის წინააღმდეგ გამოსვლას, ჩვენ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ მათ წინააღმდეგ და, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს ეს, დავიცავთ რევოლიუციის მონაპოვარს.

მივესალმებით აგრეთვე საერთაშორისო კომუნისტურ პარტიას, ჩვენ გვწამს ეს პარტია გადალახავს ყოველივე დაბრკოლებებს და დაამყარებს მთელს მსოფლიოში პროლეტარიატის დიქტატურას. რაც მოგვცემს საშვალებას მივაღწიოთ იმ აღთქმის ქვეყანას სადაც არ არსებობს ჩაგვრა და მონობა.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის რევოლიუციის ოთხი წლის თავს.

გაუმარჯოს მესამე კომუნისტური ინტერნაციონალს, შტაბს მსოფლიო რევოლიუციისას. გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის ბელადს ამხ. ლენინს.

გაუმარჯოს ჩვენ წითელ ლაშქარს რევოლიუციის მშვენებას და სიამაყეს.

ალ. ჯოჯუა.

სოფ. ფოცხო.

1921 წ. 7 ნოემბერს სოფ. ფოცხოში (სენაკის მაზრა) შესდგა მრავალ-რიცხოვანი მიტინგი. ოქტომბრის რევოლიუციის ოთხი წლის თავის აღსანიშნავად. მონაწილეობა მიიღო აუარებელმა ხალხმა, მიტინგს ამშვენებდა ადგილობრივი კომუნისტური ორგანიზაციის წევრების მწყობრი რიგები დროშებით ხელში. მიტინგს შემოუერთდა აგრეთვე ახალგაზრდა მოწაფეთა ლამაზი გუნდები. დიდმა დღესასწაულმა მიიღო საზეიმო ხასიათი: საბჭოთა დაწესებულებები მორთულია ყვავილებით, პატარა მინდორზე, სადაც თავი მოეყარა მრავალ ნოქალაქევს, აღმართულია ყვავილებით და სხვა და სხვა ფოთლებით გალამაზებული ტრიბუნა, რომელსაც მედიდურად ამშვენებს შეუდრეკელი და ძალარა რევოლიუციონერთა სურათები.

საათის სამზე მიტინგს ხსნის თემის პარტკომის სახელით ამხ. კონდრატე ქობავა და პირველად სიტყვას აძლევს ფოცხოს თემის რევკომის ამხ. ნ. შამათავა, რომელმაც მიულოცა მიტინგს დიადი დღესასწაული.

შემდეგ სიტყვა ეძლევა ნოქალაქევის რაიონ პარტკომის პასუხის მგებელ მდივანს ამხ. ისიდორე გულორდავას, რომელიც ეხება ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობას და მის იდეურად გამაგრებას, როგორც საბჭოთა რესპუბლიკებში ისე მთელს მსოფლიოში, შემდეგ მომხსენებელი მკაფიოდ უმარტავს მიტინგს ყველა იმ ნაბიჯებს, რომელიც გადადგა საბჭოთა მთავრობამ მშრომელთა საკეთილდღეოთ. მოხსენებებს მიტინგი უსმენდა დიდი ყურადღებით. გამოტანილი იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: ჩვენ—ფოცხოს თემის მცხოვრებლები მიტინგზე მოვისმინეთ რა მოხსენება დიდი ოქტომბრის რევოლიუციის სვლელობის შესახებ, დავადგინეთ მივესალმოთ: ოქტომბრის რევოლიუციას და მისი ხელმძღვანელი კომუნისტური პარტიას, ჩვენ გვწამს, რომ ის შეურიგებელი ბრძოლა, რომელსაც აწარმოებს კომუნისტური პარტია მთელი ქვეყნის მტაცებლების და მუქთა ხორების წინააღმდეგ, აუცილებლად დამთავრდება მშრომელთა სრული გამარჯვებით და მოწინააღმდეგეთა სრული დამარცხებით ჩვენ კი ფოცხოს თემის მშრომელნი, ფიცსა ვსდებთ რევოლიუციის წინაშე მივიღოთ ყოველივე ზომები ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლად; ჩვენ მზათა ვართ ყოველივე წუთში შევებრძოლოთ საბჭოთა ხელისუფლების მტერს და მაღლა ვატაროთ ჩვენი საამაყო საბჭოთა წითელი დროშა.

ი. გულორდავა.

წყემი.

1921 წ. 7 ნოემბერს ვიდღესასწაულეთ ოთხი წლის თავი. სადღესასწაულოდ მორთულ იქნა წყემის ყველა დაწესებულებანი ყვავილებით და მოლებით.

ამ დღეს გავმართეთ საბავშო დილა. მასწავლებელთაგან წარმოითქვა მრავალი რევოლიუციონური ლექსები ადგილობრივ მასწავლებელთა ხელმძღვანელობით. დილამ დიდად ასიამოვნა როგორც ბავშვები, აგრეთვე მოხელეებიც.

ამ დღეს დღის 12 საათზე გაიმართა მიტინგი, დაესწრო მრავალი ხალხი, კაცი, ქალი და ბავშვები, მიტინგს დაესწრო ამაშის რაიონიდან ამხ. კირილე ნადიაი, რომელმაც გააცნო მსმენელთ 7 ნოემბრის დღესასწაულის მნიშვნელობა. აუხსნა თუ რა გააკეთა საბჭოთა მთავრობამ, საქართველოში ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

შემდეგ გამოდის ახალგაზრდათა კომკავშირის სახელით ამხ. აპოლონ რატიანი, რომელმაც წარმოსთქვა საყურადღებო სიტყვა.

საღამოზე 8 საათზე გამართულ იქნა უფასო წარმოდგენა ადგილობრივ წყემის დასის მიერ დაესწრო მრავალი ხალხი, დიდი და პატარა. წარმოდგენის შემდეგ ხალხი დაიშალა გუნდაგუნდად რევოლიუციონური სიმღერებით.

თენგიზი ჯალაღონია.

სოფელ მუხრანში.

(დუშეთის მაზრა).

სოფელ მუხრანში შესდგა 7 ნოემბერს დღესასწაული, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს კომუნისტურ პარტიის რაიონის ორგანიზაციამ, კ. ა. კავშირმა წითელი დროშებით, მუშებმა და ხელოსნებმა, რომლებიც გამოვიდნენ ჩაქუჩებით, ნამგლებით და სახელოსნო იარაღებით, ადგილობრივ მილიციამ, გამოვიდნენ აგრეთვე მეგუთნეები და გამოიტანეს შებმული გუთანი.

მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდნენ სკოლის მოწაფეები, რომლებსაც ზოგიერთებს ხელში ეჭირათ წითელი დროშები. მონაწილეობდნენ სხვებიც.

პროცესია გაემართა ბაზრის ქუჩით, მუხრანის სარაიონო რევკომში; სადაც ამხ. შაქრო მანგიაშვილმა მიმართა სათანადო სიტყვით. შემდეგ პროცესია გაემართა თავისუფლების მოედანზე, იქ იყო საგანგებოთ დამზადებულ ტრიბუნალი ყვავილებით მორთული.

გაიმართა დიდებული მიტინგი. მიტინგის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. სვიმონ მახარაშვილი.

პირველი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. პორფილე კოხაევმა.

ილაპარაკეს ამხ. შაქრო მანგიაშვილმა, ადამ გედევანიშვილმა, ფილიპე ცხომელიძემ.

მიტინგი ესალმება მუშათა და გლეხთა განთავისუფლებას და გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ იგი მუშა და გლეხი საბოლოოდ გაიმარჯვებენ.

შემდეგ მოწაფეებს დაურიგეს ხილი. იმართება ცეკვა-თამაში.

ხალხი დაიშალა ნაშუადღევის 4 საათზე.

საღამოთი გაიმართა წარმოდგენა მუშებისთვის და გლეხებისათვის.

ზაქარია პაპაშვილი.

რაშია საქმე

(წერილი რედაქციის მიმართ).

ამხ. ბახტაძის წერილიდან (იხ. კომუნ. № 200), სჩანს, რომ ზოგიერთ ჩვენს ამხანაგებს ვერ გაუგიათ შინაარსი დეკრეტისა № 23 § 6.

რადგანაც ეს გარემოება იწვევს ათასგვარ უსიამოვნებას და ხელს უშლის ცენტრში მომუშავე ამხანაგებს, გაატარონ ცხოვრებაში წინასწარ შემუშავებული პოლიტიკა, ამიტომ ვსთხოვთ რედაქციას, ეს წერილი მოათავსოს ჩვენს გაზეთში.

რომ სამაზრო სასურკომიტეტი ადგილობრივ რევკომის ისეთივე განყოფილება არის, როგორც, მაგალითად, იუსტიციის ან ჯანმრთელობის,—ეს ყველამ ვიცით. ვინ ნიშნავს გამგეს, აა უკეთ რომ ვსთქვათ, როგორი წესით ირჩევა განყოფილების გამგე,—აი ის საკითხი, რომლის გარკვევა ძლიერ საჭირო არის ამხ. ბახტაძის წერილის შემდეგ. საქართველოს რევოლიუციონურ მთავრობამ ამ საკითხის შესახებ თავისი ავტორიტეტული აზრი უკვე გამოსთქვა სწორედ იმ დეკრეტში, რომელიც ამბობს, რომ განყოფილების გამგეს ირჩევს რევკომი და ამტკიცებს სასურ. სახალხო კომისარიატი.

ქუთაისში მუშაობდა სამაზრო სასურსათო კომისარი, რომელიც წამოყენებული იყო რევკომის მიერ და დამტკიცებული სასურსათო კომისარიატისაგან. რასაკვირველია, რევკომს ჰქონდა უფლება, წამოეყენებინა ახალი კანდიდატი, თუ ამის საქმის ინტერესი მოითხოვდა, მაგრამ რევკომს დეკრეტის ძალით არავითარი უფლება არ აქვს, დაუკითხავად გადააყენოს გამგე, რომელიც დამტკიცებულია სახალხო კომისრის მიერ და მხოლოდ შემდეგ აცნობოს ამის შესახებ კომისარიატს. ახალი კანდიდატის შესახებ უნდა ეცნობოს სათანადო კომისარიატს, რომელმაც ის უნდა დაამტკიცოს და მხოლოდ შემდეგ შეუძლია რევკომს, გადააყენოს ძველი და საქმეები ჩააბაროს ახალს. ასეთია დეკრეტის აზრი. ასე ესმის დეკრეტი მის შემდგენელს. მაშ რაშია საქმე? ამ დეკრეტით არ ხელმძღვანელობენ ზოგიერთი მაზრის რევკომები. გადააყენებენ გამგეს, ჩააბარებენ საქმეს მათ მიერ წამოყენებულ კანდიდატს და მით სახალხო კომისარს ფაქტის წინაშე აყენებენ. ეს, რასაკვირველია, დაუშვებელია; ეს მიუღებელია, მით უმეტეს, სასურსათო კომისარიატისთვის, რადგან სამაზრო სასურ. კომისრებს დაკისრებული აქვთ მძიმე მოვალეობა მეგარის აკრეფის შესახებ. ჩვენ ვეთანხმებით ადგილობრივ ამხანაგებს იმაში, რომ ესა თუ ის სამაზრო სასურსათო კომისარი მათთვის მიუღებელი არის, და ამიტომ დიდის სიამოვნებით მივიღებთ ახლებს, თუ კი ასეთებს წამოაყენებენ რევკომები. მაგრამ ეს უნდა გვეცნობოს ჩვენ მანამ, სანამ ახლები პრაქტიკულად შეუდგებოდენ მუშაობას. აქედან ცხადია ყველასათვის, რომ ამხ. ბახტაძეს დეკრეტი № 23, ვერ გაუგია ისე, როგორც უნდა გაეგო. ამის თქმა საჭიროა, რადგან უამისობა აფერხებს ჩვენს მუშაობას. აქ პირადი ნაცნობობა არაფერ შუაშია. რაც შეეხება ტონს, მაღალი იქნება ის თუ დაბალი, ეს დამოკიდებულია საქმის სირთულისაგან.

სანამ მე სათავეში ვუდგევარ სასურსათო კომისარიატს, ვალდებული ვარ, ცხოვრებაში გავატარო ცენტრალური რევკომის დადგენილებანი შესახებ სასურსათო პოლიტიკისა და მაღალი ტონით ველაპარაკო მათ, ვინც ნებსით თუ უნებლიეთ ხელს გვიშლის მუშაობაში. მარტო ქუთაისის რევკომზე ხომ არ არის საქმე, ამხ. ბახტაძევ. ჩემი წერილი იყო გამოწვეული არა ქუთაისის რევკომის დადგენილებით, არამედ რევკომების (საერთოთ) მიერ დეკრეტის დარღვევით. ქუთაისის რევკომის დადგენილება იყო მოყვანილი როგორც ერთი მაგალითი.

მართლაც, როგორ გინდათ ვაწარმოვო სწორი პოლიტიკა და პასუხიც ვაგო, თუ ყოველდღე ისეთ ცვლილებებს ექნა ადგილი, რომლის შესახებ წინასწარ არაფერს გვაგებინებენ. ვგზავნით ხალხს ადგილობრივ მომუშავეთათვის ინსტრუქციის გასაწევათ, ვაწყობთ საქმეებს, ვეცნობით ადგილობრივ მუშაკებს, რის შემდეგ, ვფიქრობთ, საქმე წინ წავა მათი დახმარებით. რამდენიმე დღეში ხდება ცვლილება, რომლის შესახებ ჩვენ შემდეგ ვტყობილობთ. ვგზავნით ისევ კაცს, ხელ-ახალ მუშაობას ვაწარმოებთ, მაგრამ ისევ უჩვენოთ ხდება უმრავლეს შემთხვევაში საზიანო ცვლილება, და ეს იმ დროს, როდესაც ჩვენ დაკისრებული გვაქვს, ძლიერ საპასუხისმგებლო საქმე, რომლის მოგვარებაზეა დამყარებული ჩვენი ბედიღბალი.

მუშა-მოსამსახურენი განიცდიან გაჭირვებას უსურსათობის გამო. ჩვენ გამოსავალს ვეძებთ და ამ მუშაობის ხელშემშლელ გარემოებებზე ხმის ამოღების უფლებას ვიტოვებთ.

მე არ შემიძლია დეკრეტის შეცვლა, ჩემი მოვალეობა არის მთავრობის მიერ გამოცემული დეკრეტი სისწორით გატარდეს ცხოვრებაში: უამისოდ შეუძლებელია ჩვენმა მუშაობამ რაიმე ნაყოფი გამოიღოს.

ა. ერქომაიშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 90.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული შრომის დაცვის ორგანოების წარმოებითი კავშირთა საბჭოს გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

1. რათა წარმოებითი კავშირების შრომის დაცვის განყოფილებათა და შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ შრომის დაცვის ორგანოთა მოქმედების ხელმძღვანელობა გაერთიანებულ იქნეს, შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული შრომის დაცვის ორგანოების მთელი პირადი შედგენილობა, ინვენტარი და კრედიტები გადაეცეს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს არა უგვიანეს ამა წლის დეკემბრის 1-სა.

2. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული შრომის დაცვის ორგანოთა ყველა თანამშრომელი უნდა დარჩეს თავის ადგილზე და არ შეუძლიან სამსახურს თავი გაანებონ საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსა და ადგილობრივ წარმოებითი ორგანოების ნებადაურთველად.

3. აღნიშნულ ორგანოთა პროფესიონალური ორგანიზაციებისათვის გადასაცემი შემდეგაც, დატოვებულ იქნეს ძალაში ყველა ის უფლებანი, რაც არსებულ კანონდებულებით მიკუთვნებული აქვს შრომის სახალხო კომისარიატს (კერძოდ, შესახებ შრომის ინსპექციისაც) და შეადგენს ფარგალს გამაფრთხილებელი მეთვალყურეობისა და კონტროლისას, რათა შრომის კანონდებულებანი და სანიტარულ—ტეხნიკური პირობანი აღსრულებულ იქნეს;—აგრეთვე,—რაც შეეხება შრომის ჰიგიენისა და მშრომელთა ბინის უვნებლობის გამო სავალდებულო დადგენილებათა გამოცემას.

4. საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსა და მის ადგილობრივ ორგანოთა მიერ შრომის დაცვის დარგში გამოცემული დადგენილებანი და მიწერილობანი სავალდებულოა აღსასრულებლად ყოველი პირისათვის, ორგანიზაციისათვის და საბჭოთა დაწესებულებისათვის.

5. ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარება და სათანადო ინსტრუქციათა გამოცემა დაევალოს შრომის სახალხო კომისარიატს და საქართველოს წარმოებითი კავშირთა საბჭოს.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. ქავთარაძე.

შრომის სახალხო კომისარი

ლ. დუმბაძე.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. სვანიძე.

1921 წ. ნოემბრის 4.

თბილისი. სასახლე.

ბრძანება № 14.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარისა ქალაქების, მაზრების, რაიონების და თემების რევკომებს.

ზოგიერთი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები და თანამდებობის პირნი, არღვევენ რა კანონსა და რევოლიუციონურ წესრიგს, განაგრძობენ მოუკიდებლად სხვა და სხვა ცენტრალურ უწყებათა საქმეებში ჩარევას. თვითნებობით, სათანადო უწყების დაუკითხავად და მისი პროტესტის წინააღმდეგ, იჭერენ დაწესებულებათა შენობებს და ათასგვარ დაბრკოლებებს უჩენენ. ბინიდან ასახლებენ და ზოგჯერ შეურაცხყოფასაც აყენებენ უწყების თანამშრომლებს. მათ ვერ შეუგნიათ, რომ ხაზინის ფოსტა-ტელეგრაფის შენობათა დაკავებით, ფინანსთა და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატების თანამშრომელთა შევიწროებით და მათ ბინებში სხვების ჩასახლებით ისინი მოქმედებენ საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ. ვაცხადებ. რომ არც ერთს ხელისუფლების ორგანოს არა აქვს უფლება დაიკავოს მთლად ან ნაწილობრივ. რომელიმე დაწესებულების, თანამშრომლებისა თუ კერძო პირის მოსათავსებლად, შენობა ან ბინა სხვა უწყებისა, ან შეეხოს ცენტრალური უწყების თანამშრომელთა და სამსახურის მოვალეობათა შესასრულებლად მიჩენილ ბინებს სათანადო უწყების ცენტრალურ დაწესებულების ნებადაურთველად, წინადადებას ვაძლევ ყველას, ვისაც ეს შეეხება, დაუყონებლივ დასცალონ უკანონოდ მითვისებული ბინები დაწესებულებათა თუ თანამშრომელთა და უკლებლივ მთელის ინვენტარით დაუბრუნონ კუთვნილებისამებრ.

ამ ბრძანების შესასრულებლად სასწრაფო ზომების მიღება ევალებათ ადგილობრივ კომუნალურ განყოფილებებს, ან სადაც ასეთები არ არის, ადგილობრივ რევკომებს, რომელთაც დაუყონებლივ უნდა მაცნობონ ბრძანების სისრულეში მოყვანის შესახებ.

ამ ბრძანების შესრულების დაგვიანებისათვის დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი და დაისჯებიან რევოლიუციონური დროის კანონებით.

ხელს აწერენ: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბ. კვირკველია.

კომუნალურ მეურნეობის სამმართველოს მთავარი გამგე

ხიდეშელიშვილი.

6 ოქტომბერი 2921 წ.

დედანთან სწორია: საქმის მწარმოებელი პ. ხ. ცინცაძე:

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

63,000 ტომარი ფქვილი ამერიკიდან.

ფოთიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ 16 ნოემბერს დილით ფოთის ნავთსადგურში მოვიდა გემი „ედმუნდ სიმერს“ გერმანიის დროშით 63,000 ტომარი ფქვილით ამერიკიდან.

საგარეო ვაჭრობა ნოემბრის პირველ კვირაში.

ფოთის საბაჟოთი შემოტანილია 32,158 მილ. მან. ღირებული საქონელი: მათ შორის ხორბლის ფქვილს პირველი ადგილი უჭირავს, თავისი წონით უდრის 161 ათას ფუთს და ღირს 32 მილიარდი მანეთი.

თბილისის საბაჟოთი შემოტანილია საპონი 79 ფ. 20 მილიონი მან. და შოკოლადი—21 ფ. 38 მილ. მან.

სატრანზიტოთ საქართველოზე გატარებულია აზერბეიჯანიდან ევროპაში ხიზილალა 30 ფ. 40 მილ. მან. ღირებული.

დანარჩენი საბაჟოებიდან ჯერ-ჯერობით ცნობები არ არის მიღებული.

სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა დასავლეთ საქართველოს მაზრებში 1-15 ოქტომბრამდე.

(ცენტ. სტატ. სამმართ. ცნობებიდან)

სენაკის მაზრა.

ოქტომბრის წვიმები ნოემბრისათვის შეიცვალა კარგი ამინდით. ხალხი შეუდგა მოსავლის აღებას, სიმინდის მოსავალი საშუალოზე მდაბრეა; საშუალოდ 1 დესეტინაზე 35 ფ., ყურძნის მოსავალი საშუალოზე კარგია, 70 ფ. 1 დესეტინაზე.

ზუგდიდის მაზრა.

პირველ ნოემბრისათვის კოკისპირული წვიმების გამო მოსავლის აღება შეყოვნდება და მოსალოდნელია გაგრძელდეს ნოემბრის გასულამდის, ადგილი აქვს ყრუვებს. სიმინდის ნაგვიანევი ნათესები წახდა, სიმიდის მოსავლის ხარისხი ცუდია, დანარჩენ ხორბლეულობისა ცუდი, ლობიოსი ცუდი, კარტოფილის საშუალოზე მდაბრე.

რაჭის მაზრა.

3 ნოემბრამდის კოკისპირული წვიმებ., 3—15 ამინდი გამოიცვალა. მცხოვრებნი. მხნედ შეუდგნენ შემოდგომის ხორბლეულობის თესვას. ხანგრძლივი ცუდი ამინდების და თესლის ნაკლებობის გამო შემ. ხორბლეულობის ნათესების სივრცე, ჩვეულებრივზე ნაკლები იქნება. სიმინდის მოსავალი ცუდია.

თამბაქოს ფაბრიკებში.

ს. მ. უ. ს. თამბაქოს განყოფილების ცნობებით მუშაობის მსვლელობა საქართველოს თამბაქოს ქარხნებში ოქტომბრის თვის განმავლობაში შემდეგნაირია:

ბოზარჯიანცის ფაბრიკა. გადარჩეულია თამბაქო 8,441 გირვ. გაკეთებულია 2,034,000 გილზი. გაკეთებულია პაპიროსი—1,438,000 ცალი. გადაკრულია პაპიროსი 3,338,000 ცალი.

ენფიანჯიანცის ფაბრიკა. გადარჩეულია 23,268 გირვ. თამბაქო. გადაკრულია თამბაქო 2,160 გირვ. გაკეთებულია გილზი 8,023,000 ცალი. გაკეთებულია პაპიროსი—66,476,500 ცალი. გადაკრულია პაპიროსი 8,020,000 ცალი.

ფაბრიკა „კომეტა“. გადარჩეულია თამბაქო 5,400 გირვ. გადაკრულია თამბაქო—3,855 გირვ. გაკეთებულია გილზი 2,890,000 ცალი, გაკეთებულია პაპიროსი—3,310,000 ცალი. გადაკრულია პაპიროსი—1,958,000 ცალი.

ხუჯაბანოვების ფაბრიკა. გადარჩეულია თამბაქო 37,200 გირვ. შეკრულია თამბაქო 15,265 გირვ. გაკეთებულია გილზი 10,345,000 ცალი, გაკეთებულია პაპიროსი—8 895,000 ცალი. გადაკრულია პაპიროსი—6,740 000 ცალი.

ხაფურაევის ფაბრიკა. გადარჩეულია 9,744 გირვ. გადაკრულია თამბაქო 4 200 გირვ. გაკეთებულია გილზი 5,950,000 ცალი. გაკეთებულია პაპიროსი 4,360,000 ც. გადაკრულია პაპიროსი—3,250,000 ც.

ფაბრიკა „მიკ“-ი. გადარჩეულია 24 000 გირვ. თამბაქო, გადარჩეულია თამბაქო 5,190 გირვ

ფაბრიკა „ხედივ“-ი. გადაკრულია თამბაქო 2,000 გირვ გადაკრულია თამბაქო 1,500 გირვ. გაკეთებულია გილზი 148,000 ცალი. გაკეთებულია პაპიროსი—164,000 ცალი. გადაკრულია პაპიროსი—104,000 ც.

ფაბრიკა „ლევ“-ი. გადარჩეულია თამბაქო 4,170 გ. გადაკრულია თამბაქო 2,995 გ. გაკეთებულია გილზი 165,000 ც. გაკეთებულია პაპიროსი 180,000 ცალი, გადაკრულია პაპიროსი—689,000 ცალი.

ქუთაისის ფაბრიკა. გადარჩეულია თამბაქო 14,240 გ. გადაკრულია თამბაქო 3,500 გ. გაკეთებულია გილზი—1,355,000 ც. გაკეთებულია პაპიროსი 1,201,000 ც. გადაკრულია პაპიროსი 689,000 ცალი.

„ზენიატ-ოდლიშის“ ფაბრიკა. გადარჩეულია თამბაქო 6,543 გირვ. გადაკრულია თამბაქო 1,909 გირვ. გაკეთებულია გილზი 3,100,000 ცალი. გაკეთებულია პაპიროსი—3,884,000 ცალი. გადაკრულია პაპიროსი—7,522,000 ცალი.

ფაბრიკა „ვოსტოკ“. გადარჩეულია თამბაქო 3,950 გ. გადაკრულია თამბაქო 2,680 გირვ. გაკეთებულია გილზი 956,000 ცალი, გაკეთებულია პაპიროსი 1,032,000 ცალი.

დანიელოვის ფაბრიკა. გადარჩეულია თამბაქო—5,659 გირვ. გადაკრულია თამბაქო 7,600 გირვ. გაკეთებულია გილზი 807,000 ც. გაკეთებულია პაპიროსი 690,000 ც. გადაკრულია პაპიროსი 728,000 ც.

დიამანტიდის ფაბრიკა. გადარჩეულია თამბაქო 2,532 გირვ. გადაკრულია თამბაქო 2,532 გირვ. გაკეთებულია გილზი, გაკეთებულია პაპიროსი და გადაკრულია იგი 1,940 ცალი.

არ მუშაობდნენ ფაბრიკები ენფიანჯიანცისა და კომეტასი 2, „სლონი“ 10 და დიამანტიდი 18 დღე.

მუშაობა სახელმწიფო აგურის ქარხანაში.

ორ არსებულ ქ. თბილისის სახელმწიფო ქარხნებში აგურის დამზადების მუშაობა სწარმოებს ძლიერი ტემპით, რადგანაც დიდი მოთხოვნილებაა ამ ასაშენებელი მასალისა. ამ ქარხნებისსაწყობებში უკვე დამზადებულია აგური 400 ათასი ცალი. ეს აგური მოთხოვნილებისამებრ მიეცემათ როგორც საბჭოთა დაწესებულებებს, აგრეთვე კერძო პირებსაც.

ბრძოლა წყალდიდობასთან სენაკის მაზრაში.

წყალდიდობასთან საბრძოლველად, სენაკის მაზრაში მდინარე ცხენის წყლის ადიდების დროს, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს კოლეგიამ დაადგინა მოაწყოს სოფ. სამიქაოს და კოლობანთან ჯებირები. ამისათვის გადადებულია 1,155,500-000 მანეთი.

ამას გარდა, დადგენილია ეს მუშაობა აწარმოვონ დამკვიდრებული წესით და სასწრაფო შემთხვევაში ახლომდებ სოფლების მცხოვრებნიც გამოიწვიონ ბეგრის სახით. ყველა მაზრის დაწესებულებებს წინადადება აქვს მიცემული აღმოუჩინონ საჭირო დახმარება რიგის გარეშე მუშაობის მწარმოებლებს.

სარწყავი არხები

სახელმწიფო შენობათა კოლეგიის მიერ გადაწყვეტილია მოაწყოს ბორჩალოს მაზრაში ორი წყლის არხი სოფლის მეურნეობისთვის გამოსადეგ მიწების მოსარწყავად, რაოდენობით ორი ათასი დესეტინის 4 სოფელში. ამ სოფლების მცხოვრებთ თავის მხრივ დაადგინეს, მიიღონ მონაწილეობა ხსენებულ წყალსადენის და სარწყავ არხის გასამართავ დაწყებულ მუშაობაში და აგრეთვე მისცენ ამისათვის საჭირო ასაშენებელი მასალა. ამ მუშაობის ორგანიზაციისათვის სახელმწიფო შენობათა კომიტეტის მიერ აღძრულია შუამდგომლობა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წინაშე 3 მილიონი მანეთის გადადების შესახებ.

თხილი.

სასურსათო სახალხო კომისარიატმა მისცა საქართველოს კოოპერატივების ცენტრალურ კავშირს „ცეკავშირს“ თხილის შესყიდვა საზღვარგარეთ გასატანად სურსათზე გადასაცვლელათ. განზრახულია დამზადდეს 50,000 ფუთამდე თხილი და გაიტანონ იგი ზოგი კონსტანტინოპოლის ბაზარზე, ზოგი რუსეთში.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 3—74.

— 1 ლი რაიონის ბიურო—[illegible] შვილის ქ. 136. [illegible] ტელ. 1—33.

— მე-2 რე რაიონის ბიურო—[illegible] ვილის ქ. № 87. ტელ. 6—69.

— მე-3-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქართის მოედანი. 3—53.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—[illegible] და ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

— მე-5-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. [illegible]

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

ჟურნალი „ქურა“

ამ მოკლე ხანში გამოვა სალიტერატურო პროლეტარული ჟურნალი „ქურა“ იუმორისტული განყოფილებით.

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ განათლების მთავარ-სამმართველოში (ლორის მელიქოვის ქ. № 5.) სანდრო ეულის სახელზე.

აზერბაიჯანის სახელმწიფო ბანკი

თანახმად აზერბაიჯანის ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარის თხოვნისა, ს. ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი ამით აცხადებს დაინტერესებულ დაწესებულებათა, ფირმათა და პირთა საყურადღებოდ, რომ 15 ნოემბრიდან ქ. ბაქოში იწყებს მოქმედებას აზერბაიჯანის სახელმწიფო ბანკი.

ფინანსთა სახ. კომისარის მოადგილე ბ. ზიზინეიშვილი.

საჭიროა.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო. იწვევს მუდმივ თანამშრომლობაზე მხაზავს. სახელმწიფო ენის ცოდნა სავალდებულოა. ცნობების მიღება შეიძლება ც. ს. ს. საინსტრ-საინფ. გ-ბაში 10—11 საათ. (ბროსეს ქ. 4).